



ევროკავშირის პროგრამა „სამოქალაქო საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების მხარდაჭერა“

ადგილობრივი ბიუჯეტი და
მონაწილეობითი ბიუჯეტირება

გზამკვლევი
მრეწველთა ასოციაციისათვის



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



პროექტი „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში„

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: კოსტავას გამზ., 20, რუსთავი, 3700, საქართველო

ტელ: (+995) 341 224 797; ფაქსი: (+995) 341 224 707

ელ.ფოსტა: red.department@gmail.com; ვებგვერდი: www.rustavi.gov.ge

რუსთავი, 2017 წელი

შესავალი

2016 წლის მარტიდან, ევროკავშირის მხარდაჭერით, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს პროექტს „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“. პროექტის მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ქალაქში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდასა და მოქალაქეების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე.

ამ მიზნით პროექტის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

- მუნიციპალური ადმინისტრაციული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერება;
- დიალოგის განვითარება ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების შესახებ;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმების შექმნა.



მონაწილეობითი ბიუჯეტირება მოქალაქეთა ჩართულობის სრულიად ახალი მექანიზმია ქართულ რეალობაში, რომლის აღქმა და დანერგვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, როგორც თვითმმართველობის ორგანოების, ასევე სამოქალაქო სექტორის მიერ. ბიუჯეტირებაში მონაწილეობა გულისხმობს მოქალაქეთა ჩართვას არა მარტო ბიუჯეტის ფორმირების, არამედ მისი ხარჯვა-განკარგვის პროცესში.

ადგილობრივ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლება, მათთვის ჩართულობის გზებისა და მექანიზმების ჩვენება/აღწერა.

სწორედ ეს წარმოადგენს წინამდებარე გზამკვლევის შექმნის მიზანს, მოსახლეობამ მიიღოს მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის ადგილობრივი ბიუჯეტი, როგორ ხდება მისი ფორმირება და რომელ ეტაპზე, რა მექანიზმებითაა შესაძლებელი აღნიშნულ პროცესში ჩართვა, რა რესურსებს აძლევთ მათ ქვეყნის კანონმდებლობა და ადგილობრივი კანონქვემდებარე აქტები.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ადგილობრივი (მუნიციპალური) ბიუჯეტი არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასანევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს:

შემოსავლებს (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები)

- გადასახადებში იგულისხმება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადები
- გრანტებში იგულისხმება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უსასყიდლოდ მიღებული სახსრები
- სხვა შემოსავლებს მიეკუთვნება კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლები, დივიდენდები, რენტა, ადმინისტრაციული ჯარიმები და სხვ

არაფინანსურ აქტივებს (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები)

- ქონების გაყიდვიდან მიღებული სახსრები (პრივატიზაცია)

ფინანსურ აქტივებს (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა)

- ფინანსური აქტივების შემცირება (მაგ. გაცემული სესხის უკან დაბრუნება)

ვალდებულებებს (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები)

- სესხის აღება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები მოიცავს საკუთარ და არასაკუთარ შემოსულობებს. საკუთარ შემოსულობებს განეკუთვნება ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები და გათანაბრებითი ტრანსფერი და ისინი განაპირობებენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას. მუნიციპალიტეტს შეუძლია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს საკუთარი შემოსულობები.

გათანაბრებითი ტრანსფერი - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. მისი მიზანია მუნიციპალიტეტების განსხვავებული ფინანსური შესაძლებლობების გათანაბრება მათი ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსულობებია გრანტი და კაპიტალური, სპეციალური და მიზნობრივი ტრანსფერები.

კაპიტალური ტრანსფერი - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. ის დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან.


სპეციალური ტრანსფერი - გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შე-

დეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

მიზნობრივი ტრანსფერი - მიზნობრივი ტრანსფერი გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

ქ. რუსთავის 2017 წლის ბიუჯეტით შემოსულობების გეგმა განსაზღვრულია 40,427.8 ლარით, საიდანაც შემოსავლებზე მოდის 37,927.8 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებაზე - 2,500.0 ლარი.

2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განაწილებულია შემდეგნაირად (ათასი ლარი):



ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმილი მაჩვენებლებია (ათასი ლარი):

დასახელება		2017 წლის გეგმა
შემოსავლები		37,927.8
	1. გადასახადები	13,900.0
	საშემოსავლო გადასახადები	3,700.0
	ქონების გადასახადი	10,200.0
	სხვა გადასახადები	0.0
	2. გრანტები	19,602.8
	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	636.7
	სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	17,671.8
	გათანაბრებითი ტრანსფერი	10,693.8
	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	500.0
	სპეციალური ტრანსფერი	7,772.3
	3. სხვა შემოსავლები	4,425.0
	შემოსავლები საკუთრებიდან	655.0
	პროცენტები	500.0
	დივიდენდები	15.0
	რენტა	140.0
	საქონელი და მომსახურების რეალიზაცია	2,320.0
	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	2,300.0
	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	20.0
	ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,100.0
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	350.0

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებია საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა:


ხარჯები	• საოპერაციო დანიშნულების ხარჯები
არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები)	• ქონების შეძენა, აშენება და/ან შექმნა
ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა)	• ფინანსური აქტივების გაზრდა (მაგ. სესხის გაცემა)
ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართული სახსრები)	• აღებული ვალის დაფარვა

მუნიციპალიტეტი დამოუკიდებლად განსაზღვრავს გადასახდელების განევას საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, რაც ასევე განაპირობებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამოუკიდებლობას.


ქ. რუსთავის 2017 წლის ბიუჯეტით გადასახდელების ოდენობა განსაზღვრულია 45,369.3 ლარით და განაწილებულია შემდეგნაირად:

დასახელება		2017 წლის გეგმა
გადასახდელები		45,369.3
	1. ხარჯები	30,793.0
	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	12,234.2
	3. ვალდებულებების კლება	2,342.1

ქ. რუსთავის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ათასი ლარი):



ქ. რუსთავის 2017 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათასი ლარი):



საბიუჯეტო პროცესი

საბიუჯეტო პროცესი არის საბიუჯეტო სისტემის მონაწილეთა საქმიანობა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს.

საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა:

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - მერი

- ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, დაზუსტება, ბიუჯეტის შესრულება და ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის საკრებულო


- ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება და ბიუჯეტის კონტროლი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის მოკლე მიმოხილვა

2011 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი გამოცხადდა საპილოტე ქალაქად პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლის საკითხში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2011 წლის განმავლობაში აქტიურად ხდებოდა შესაბამისი მეთოდოლოგიის განხილვა/დანერგვა, რამაც გააჩნია შესაძლებლობა ადგილობრივი თუ სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსური რესურსები ზედმიწევნით ეფექტურად დაგეგმილიყო. ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის შესაბამისად მომზადდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი, სადაც სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, განისაზღვრა ქალაქის მიერ განსახორციელებელი ძი-

რითადი მიზნები და ამოცანები. პროგრამული ბიუჯეტირების არსიდან გამომდინარე, აღნიშნული დოკუმენტის შესრულების მიზნით გამოიკვეთა სხვადასხვა კაპიტალური თუ სოციალური საკითხები, რაც თავის მხრივ კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას წარმოადგენს.

საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები



პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადება

საბიუჯეტო პროცესი იწყება *მიმდინარე წლის 1 მარტიდან* პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით, რომელიც წარმოადგენს თვითმმართველობის განვითარების ძირითად გეგმას და მოიცავს ინფორმაციას დასაგეგმი და მომდევნო 3 წლის შესახებ.



ტერიტორიული მართვის ორგანოების (10 ტერიტორიული მართვის ორგანო) მიხედვით მოსახლეობასთან ტარდება სამუშაო შეხვედრები მათი მოსაზრებებისა და შეხედულებების გაზიარებისა და პრიორიტეტების განსაზღვრაში მათი ჩართულობის მიზნით.

ბიუჯეტის პროექტის მომზადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას *მიმდინარე წლის 15 ივლისამდე* აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს, რის შემდეგაც იწყება ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადების პროცედურები. *არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა* ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივ ხელისუფლებას ასევე აცნობებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ადგილობრივი ბიუჯეტისთვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა (გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერი) და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული პროგრამისათვის/ქვეპროგ-

რამისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:

- ბ.ა) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;
- ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.დ) ვალდებულებების კლება;

გ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით;

დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

ე) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;

ვ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

თ) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

 ბიუჯეტის პროექტის წარდგენა საკრებულოსთვის და საჯარო განხილვა

არა უგვიანეს 15 ნოემბრისა ქალაქის მერი პრიორიტეტების დოკუმენტს და ბიუჯეტის პროექტს განსახილველად წარუდგენს საკრებულოს.

ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის.

საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს. საკრებულოს მიერ განხილვისას ბიუჯეტის პროექტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ ქალაქის მერთან შეთანხმებით.

შენიშვნების არსებობის შემთხვევაში საკრებულო არაუგვიანეს 25 ნოემბრისა ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს ქალაქის მერს.

ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, ქალაქის მერი წარუდგენს საკრებულოს.

 ბიუჯეტის დამტკიცება

საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ. გადაწყვეტილება მიიღება საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

თუ საკრებულომ არ დაამტკიცა ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შესწორებული ვარიანტი ან ქალაქის მერმა არ გაიზიარა საკრებულოს შენიშვნები (ბიუჯეტის პროექტის პირვანდელი რედაქცია), საკრებულო უფლებამოსილია სიითი შემადგენლობის 3/5-ით დაამტკიცოს საკრებულოს ფრაქციის ან საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს მიერ ქალაქის მერისათვის გაგზავნილი შენიშვნები ან მათი ნაწილი.

თუ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი დასაგეგმი წლის დაწყებამდე ვერ დამტკიცდა, ქალაქის მერი უფლებამოსილია თითოეულ პრიორიტეტზე ყოველთვიურად გასცეს თანხა არაუმეტეს გასული



საბიუჯეტო წლის ასიგნებების ერთი მეთორმეტედისა.

თუ ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვის განმავლობაში ვერ დამტკიცდა ბიუჯეტი, საქართველოს მთავრობა საკრებულოს და ქალაქის მერს ვადამდე უწყვეტს უფლებამოსილებას და შემოიღებს პირდაპირ სახელმწიფო მმართველობას.

წლიური ბიუჯეტი უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს საზოგადოებისათვის.

ბიუჯეტის შესრულება

ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო - ქალაქის მერი.

ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება. ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა საკრებულოს შეუძლია მხოლოდ ქალაქის მერის წარდგინებით. ბიუჯეტში შეტანილ ცვლილებებს ქალაქის მერი წარუდგენს ადგილობრივ საკრებულოს, ხოლო ეს უკანასკნელი იხილავს შესაბამისი კომისიებში და დადებითი დასკვნების შემთხვევაში საკითხი გადის საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ბიუჯეტის აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს ანგარიშს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით.

ყოველი კვარტალის დასრულებიდან 1 თვის ვადაში ქალაქის მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა წარუდგენს საკრებულოს.

საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და არა უგვიანეს 1 მაისისა იღებს გადაწყვეტილებას მისი დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ.

ადგილობრივი ბიუჯეტის აუდიტორული დასკვნა და შესრულების წლიური ანგარიში საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების პრიორიტეტები



1. ინფრასტრუქტურა



2. განათლება



3. კულტურა, რელიგია,
ახალგაზრდობა და სპორტი



4. ჯანმრთელობის დაცვა და
სოციალური უზრუნველყოფა

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

რუსთავის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში მოხდება ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის



რის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამები:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია:
 - საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა;
 - გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;
 - ქალაქის ეკოლოგიური დაცვა;
 - წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია;
 - ქალაქის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა.
- ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები:
 - სკვერების, ძეგლებისა და მემორიალების რეაბილიტაცია;
 - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რემონტი;
 - ქალაქში არსებული დეკორატიული კედლებისა და ღობეების რეაბილიტაცია;
 - სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ექსპერტიზის ხარჯები.
- მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა.

2. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.



პროგრამები:

- სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა:
 - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა;
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის ხელშეწყობა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. პრიორიტეტი ასევე მოიცავს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.



პროგრამები:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა:
 - სპორტული სკოლების ხელშეწყობა;
 - სპორტული კლუბების ხელშეწყობა;
 - საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა:
 - კულტურული ღონისძიებების დაფინანსება;
 - სახელოვნებო სკოლები;
 - კულტურის სახლების ხელშეწყობა;
 - მუზეუმის ხელშეწყობა;
 - ბიბლიოთეკების ხელშეწყობა;
 - კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია;
 - კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია.
- ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.



პროგრამები:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება;
- მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა:
 - მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება;
 - სარიტუალო მომსახურებები;
 - შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე;
 - შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე;
 - ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა;
 - უხუცეს დღეგრძელთა დახმარება;
 - რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა;
 - მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება;
 - მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;
 - საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება;
 - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;
 - სტუდენტთა სოციალური დახმარება.

**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების
პრიორიტეტების დაფინანსება**

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20,187.1	14,861.6	15,255.0	16,850.0
1.1	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	7,633.6	2,700.0	2,300.0	2,700.0
1.2	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	9,277.3	10,840.0	11,525.0	12,500.0
1.2.1	საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა	3,244.5	3,290.0	3,440.0	3,990.0
1.2.2	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	950.7	1,200.0	1,400.0	1,600.0
1.2.3	ქალაქის ეკოლოგიური დაცვა	2,649.0	3,700.0	4,000.0	4,200.0

1.2.4	წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია	40.7	100.0	80.0	50.0
1.2.5	ქალაქის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა	2,392.3	2,550.0	2,605.0	2,660.0
1.3	ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,163.1	850.0	950.0	1,150.0
1.4	მუნიციპალური ტრანსპორტის სუბსიდირება	361.1	450.0	480.0	500.0
1.5	მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა	751.9	21.6	0.0	0.0

2. განათლება (ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
2	განათლება	7,534.1	6,325.0	6,705.0	7,045.0
2.1	სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	7,534.1	6,325.0	6,705.0	7,045.0
2.1 .1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	7,166.8	5,955.0	6,325.0	6,655.0
2.1.2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის ხელშეწყობა	367.3	370.0	380.0	390.0

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
3	კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	6,992.2	6,427.0	6,827.0	7,282.0
3.1	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	3,685.3	3,090.0	3,300.0	3,610.0
3.1.1	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	1,027.1	1,120.0	1,180.0	1,340.0
3.1.2	სპორტული კლუბების ხელშეწყობა	977.6	1,820.0	1,920.0	2,020.0
3.1.3	საბავშვო და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	1,680.5	150.0	200.0	250.0
3.2	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2,945.1	3,157.0	3,337.0	3,472.0
3.2.1	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	30.8	32.0	32.0	32.0
3.2.2	სახელოვნებო სკოლები	1,607.3	1,800.0	1,850.0	1,900.0

3.2.3	კულტურის სახლების ხელშეწყობა	630.0	700.0	750.0	750.0
3.2.4	მუზეუმის ხელშეწყობა	179.0	200.0	230.0	250.0
3.2.5	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	317.6	325.0	335.0	360.0
3.2.6	კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაცია	180.5	50.0	80.0	100.0
3.2.7	კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია	0.0	50.0	60.0	80.0
3.3	ახალგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება	224.8	180.0	190.0	200.0
	რელიგიური კონფესიების ხელშეწყობა	137.0	0.0	0.0	0.0

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ათასი ლარი)

№	დასახელება	2017 წლის გეგმა	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი	2020 წლის პროგნოზი
4	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3,234.5	2,739.8	2,790.3	2,840.1
4.1	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	238.2	240.0	240.0	240.0
4.2	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	2,996.4	2,499.8	2,550.3	2,600.1
4.2.1	მინიმალური სასურსათო კვების დაფინანსება;	861.6	920.0	940.0	950.0
4.2.2	სარიტუალო მომსახურებები;	5.3	3.8	3.8	3.8
4.2.3	შეღავათი სასმელი წყლის გადასახადზე;	150.0	120.0	130.0	130.0
4.2.4	შეღავათები მუნიციპალურ ტრანსპორტზე;	393.5	318.0	318.0	318.0
4.2.5	ინდივიდუალური დახმარებების პროგრამა;	566.7	225.5	226.0	246.0
4.2.6	უხუცეს დღეგრძელთა დახმარება;	3.0	3.0	3.0	3.0
4.2.7	რუსთავის მოხუცებულთა სახლის ხელშეწყობა;	387.4	400.0	400.0	400.0
4.2.8	მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარება;	177.1	50.0	50.0	50.0
4.2.9	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;	220.2	220.2	220.2	230.0
4.2.10	საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა ოჯახების მატერიალური დახმარება;	21.1	21.1	21.1	21.1
4.2.11	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;	170.6	146.0	146.0	146.0
4.2.12	სტუდენტთა სოციალური დახმარება.	40.0	72.3	92.3	102.3

მონაწილეობითი ბიუჯეტირება

ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება შეიძლება გავიგოთ როგორც პროცესი, სადაც მოქალაქეები, მომსახურების მომწოდებლები, ადგილობრივი ადმინისტრაცია და მოხელეები ერთობლივად განსაზღვრვენ, განიხილვენ და პრიორიტეტს ანიჭებენ პროექტებს, რომლებიც საჯარო სახსრებით ფინანსდება. მნიშვნელოვანია, რომ პროცესი აძლევს მათ უფლებამოსილებას, მიიღონ რეალური გადაწყვეტილებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხარჯონ ფული. ამრიგად, ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება საშუალებას აძლევს მოქალაქეებს (რომლებიც არ არიან არჩევით თანამდებობებზე) მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი საჯარო ფინანსების (გარკვეული ნაწილის) როგორც დაგეგმვაში, ისე მათ განაწილებაში.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადგილობრივი მონაწილეობითი დაგეგმვა ნიშნავს მოქალაქეთა ჩართვას ინიციატივების გამოვლენასა და პრიორიტეტების განსაზღვრაში. ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირება კი ასევე მოითხოვს მათ ჩართვას ბიუჯეტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისა და მისი შესრულების მონიტორინგის პროცესში.

ქვემოთ მოცემული ხუთი კრიტერიუმი გვეხმარება ადგილობრივი მონაწილეობითი ბიუჯეტირების კიდევ უფრო ზუსტად განსაზღვრაში:

1. განხილული უნდა იქნეს ფინანსური და/ან საბიუჯეტო განზომილება; მონაწილეობითი ბიუჯეტირება ითვალისწინებს შეზღუდული რესურსების პრობლემის გადაჭრასაც;
2. პროცესში ჩართული უნდა იყოს ქალაქი ან (დეცენტრალიზებული) რაიონი, რომელსაც აქვს არჩევითი ორგანო და გარკვეული ძალაუფლება ადმინისტრაციაზე (უბნის დონე საკმარისი არ არის);
3. ეს უნდა იყოს განმეორებითი პროცესი (ფინანსური საკითხების შესახებ ერთი შეხვედრა ან ერთი რეფერენდუმი მონაწილეობითი ბიუჯეტირების მაგალითს არ წარმოადგენს);
4. პროცესი უნდა მოიცავდეს კონკრეტული შეხვედრების/ფორუმების ფარგლებში რაიმე სახით ჩატარებულ საჯარო დისკუსიებს („ჩვეულებრივი“ მოქალაქეების ადმინისტრაციულ ან კლასიკურ წარმომადგენლობით შეხვედრებზე დაშვება მონაწილეობით ბიუჯეტირებას არ ნიშნავს);
5. საჭიროა, არსებობდეს შედეგებთან დაკავშირებული გარკვეული ანგარიშვალდებულება.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების საერთაშორისო გამოცდილება

მონაწილეობითი ბიუჯეტირების თემა ბოლო ათწლეულია აქტუალური გახდა დასაღეთის ქვეყნებში. ადგილობრივ დონეზე ბევრგან ხდება ამ მექანიზმის დანერგვა. პორტუგალიაში კი მონაწილეობითი ბიუჯეტირება უკვე ეროვნულ დონეზე ინერგება.

ქვემოთ განხილულია მონაწილეობითი ბიუჯეტირების 2 მაგალითი.

ქალაქ ბრუმოვის ონლაინ ბიუჯეტირება

ქალაქი ბრუმოვი მდებარეობს ჩეხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მისი მოსახლეობა შეადგენს 7 600 ადამიანს.

2013 წლიდან ქალაქი ბრუმოვი თავის მოქალაქებს სთავაზობს ქალაქის ბიუჯეტის ფორმირებისა და მონიტორინგის ონლაინ რესურსს. ამ რესურსის გამოყენებით ქალაქის მაცხოვრებლებს შეუძლიათ ნათლად დაინახონ, თუ როგორ განაგებს თვითმმართველობა მინდობილ ფინანსურ რესურსებს, რაში იხარჯება საბიუჯეტო სახსრები, როგორია მიმდინარე მომენტში ბიუჯეტის მდგომარეობა, რა ჯდება ინფრასტრუქტურის შენახვა და ა.შ.

ინფორმაციული და მოხერხებულად შემუშავებული საიტის დახმარებით, ამ კითხვებზე პასუხის მიღება მარტივად შეუძლია როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე დაინტერესებულ პირებს სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან.


ბიუჯეტის ასეთი ფორმა წარმოადგენს მონაცემთა გაცნობის გამჭვირვალე, ნათელ და გასაგებ სახეობას. სისტემა **GINIS**, რომელიც გამოიყენება ამ კონცეფციისთვის, საშუალებას იძლევა გააკონტროლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხვდასხვადასხვა სექტორში, განსაკუთრებით მისი საბუღალტრო ნაწილი. ეს სისტემა განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისათვის, ვისთვისაც აუცილებელია წვდომის ქონა მსგავს დოკუმენტებთან.

ბრუმოვის მოქალაქეებს გააჩნიათ მარტივად წვდომის საშუალება ბიუჯეტის ყველა იმ ნაწილთან, რომელიც მნიშვნელოვანია მათი ყოველდღიური ცხოვრებისთვის. ბრუმოვის ონლაინ ბიუჯეტი დაფუძნებულია მარტივ მექანიზმზე და ნათლად გამოსახავს ბიუჯეტის მდგომარეობას, მის ცვლილებებს, შემოსავლებისა და ხარჯების მდგომარეობას.

აღნიშნული ინტერნეტ რესურსი საშუალებას იძლევა, დეტალურად ინახოს ქალაქის შემოსავლები და გასავლები. ხარჯები კლასიფიცირებულია რამდენიმე კატეგორიად:

- უსაფრთხოება და საზოგადოებრივი წესრიგი;
- ბინათმესაკუთრეობა;
- ტრანსპორტი;
- კომუნალური სამსახურები;
- კულტურა;
- მრეწველობა და სამშენებლო სექტორი;
- სოციალური სამსახურები;
- განათლება;
- დასვენება-გართობა;
- მამრთველობითი ორგანოები.

ასე გამოიყურება ონლაინ ბიუჯეტირების ელექტრონული გვერდი:



პორტუგალიური გამოცდილება



პორტუგალიამ განაცხადა, რომ მსოფლიოში პირველად იწყებს მონაწილეობით ბიუჯეტირებას ეროვნულ დონეზე. აღნიშნული ნამოწყება საშუალებას მისცემთ ქვეყნის მოქალაქეებს, წარუდგინონ ხელისუფლებას მათი იდეები და შეხედულებები ქვეყნის ფინანსური რესურსების უკეთ განსაკარგავად. შემდეგ კი მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, ხმა მისცენ მათთვის მოსაწონი პროექტების განხორციელებას.

იდები და წინადადებები შესაძლებელია წარდგენილი იქნას მეცნიერების, კულტურის, სოფლის მეურნეობის სფეროში. 2017 წელს დაგეგმილია 40 ზე მეტი დიდი ღონისძიება აღნიშნული პროცესის მხადასაჭერად.

იდების ავტორები იმედოვნებენ, რომ აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის მჭიდრო კონტაქტების შექმნას.

პროცესი დაეხმარებათ საჯარო მოხელეებს, უკეთ გაიგონ მოსახლეობის დაკვეთა, გაუმჯობესდება მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების აღქმის მექანიზმი, შესაძლებელი იქნება სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება და მოხდება მათი მიმართვა იქ, სადაც უფრო მეტადაა მათი საჭიროება.

იმისთვის, რომ ქვეყნის ყველაზე უფრო მიყრუებული და მოშორებული სოფლის მოსახლეობამაც შეძლოს პროცესში ჩართვა, პორტუგალიაში გამოყენებული იქნება საინტერესო ტექნიკური ინოვაცია. მონაწილეობის პროცესში ჩართვა, გარდა უკვე არსებული ონლაინ რესურსების გამოყენებისა, შესაძლებელი იქნება საბანკო ავტომატების მეშვეობით.

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

2015 წელს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შევიდა ცვლილებები და დამატებები (კოდექსის 85-88 მუხლები), რომლითაც განისაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები. ეს ფორმებია:

- დასახლების საერთო კრება;
- პეტიცია;
- სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

პროექტში „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ დაგეგმილმა აქტივობებმა ხელი უნდა შეუწყოს ქალაქის მაცხოვრებლების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმების გამოყენებას. მოქალაქეებს ამ ინ-



სტრუმენტების გამოყენება შეუძლიათ ბიუჯეტირები პროცესში ჩასართავად.

დასახლების საერთო კრება

დასახლების საერთო კრება არის სოფლის/დაბის/ქალაქის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის ჩართულობას ამ დასახლებისა და მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, გადაწყვეტასა და მუნიციპალიტეტის ორგანოების წინაშე ინიცირებაში.



დასახლების საერთო კრების მთელი რიგი უფლებამოსილებები პირდაპირ უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობას ბიუჯეტირების პროცესში.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- განიხილოს შესაბამისი დასახლებისთვის მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური საკითხები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;
- განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები;
- განიხილოს მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განხორციელებული პროექტები და მუნიციპალიტეტის ორგანოებისთვის წარსადგენად მოამზადოს შესაბამისი შენიშვნები და წინადადებები.

პეტიცია

პეტიცია შეიძლება წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს. პეტიციის სახით შესაძლებელია წარდგენილი იქნეს:

- ა) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი;
- ბ) მოსამზადებელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის ძირითადი პრინციპები ან კონკრეტული წინადადებები;

გ) მუნიციპალიტეტისთვის ან/და დასახლებისთვის საერთო მნიშვნელობის პრობლემებიდან გამომდინარე საკითხების მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე შესწავლის, განხილვისა და გადაწყვეტის მოთხოვნა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არის მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის/რაიონის გამგებლის სათაბირო ორგანო. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან მენარმე იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წარმომადგენლები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი/რაიონის გამგებელი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 10 წევრით.

საბჭო ქმედითი ინსტრუმენტია ბიუჯეტირების პროცესში ჩართულობისთვის, რადგანაც კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხვა უფლებამოსილებები და მისი საქმიანობის წესი განისაზღვრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა

მოქალაქეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში და მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია ხელი შეუწყოს ამ პროცესს. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, წინასწარი შეტყობინების ან/და წინასწარი ნებართვის გარეშე დაესწროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის საჯარო სხდომებს. დასწრების მსურველთათვის სხდომათა დარბაზში ადგილები უნდა იყოს გამოყოფილი.

გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ვალდებული არიან, წელიწადში ერთხელ მაინც, მოაწყონ საჯარო შეხვედრები ამომრჩეველთან და წარუდგინონ მათ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში

პროექტის „მონაწილეობითი ადგილობრივი ბიუჯეტირება ქალაქ რუსთავში“ მიზანია რუსთავის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ქალაქში მონაწილეობითი ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვაში, რაც

ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდასა და მოქალაქეების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების განვითარების მიზნით გაძლიერდება მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები, ჩატარდება საჯარო შეხვედრები და დაინერგება მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტიტუციონალური მექანიზმები. ქალაქ რუსთავის მოსახლეობას შესაძლებლობა ექნება, რომ აქტიური და რეალური მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრასა და ბიუჯეტის მომზადებაში და მონიტორინგი გაუწიოს ბიუჯეტის შესრულებას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მეშვეობით. ამ მიმართულებით დაგეგმილია კონკრეტული ქმედებების განხორციელება:

- მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ საბიუჯეტო პროცესში მოითხოვს მოქალაქეებთან კომუნიკაციის ეფექტური ინსტრუმენტების არსებობას. ამ მიზნით მოხდება მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის მოდერნიზება, რომ ის გახდეს ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაციის მთავარი არხი; მიაწოდოს მოქალაქეებს ინფორმაცია ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე და მიიღოს მათგან უკუკავშირი. ადგილობრივი ხელისუფლება მოახდენს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის დეკონცენტრაციას და გახსნის მის ფილიალებს რუსთავის ადმინისტრაციულ ერთეულებში. მოქალაქეთა მომსახურების ცენტრებში დაინერგება „სერვის+“-ის სისტემა, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლებისადმი კეთილგანწყობილი გარემოს არსებობას და ხარისხიანი მომსახურებების მიწოდებას მოქალაქეებისათვის. ამგვარად, მოქალაქეთა მომსახურების ცენტრები გახდება სივრცე ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის დიალოგისთვის ადგილობრივ მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესში;
- დაგეგმილია მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრების ჩატარება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, ყოველწლიურად გაიმართება 10 საჯარო შეხვედრა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, სადაც მოსახლეობა მიიღებს ინფორმაციას ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ და ჩაერთვება მომავალი წლის საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრაში. გარდა ამისა, თითოეულ საჯარო შეხვედრაზე აირჩევა ორი დელეგატი, რომლებიც გახდებიან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები;
- ჩატარდება საზოგადოებრივი აზრის კვლევა მოქალაქეთა შორის მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვითი პრიორიტეტების შესახებ. გარდა ამისა, საბიუჯეტო საკითხებისა და პრიორიტეტების განხილვა მოხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან მათი უკუკავშირისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გარდაქმნას მონაწილეობითი ბიუჯეტირების მძლავრ ინსტრუმენტად;
- იცვლება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დაკომპლექტების წესი და მისი წევრები იქნებიან მოსახლეობის მიერ არჩეული დელეგატები. საბჭო მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი ბიუჯეტის მომზადებასა და ხარჯვითი პრიორიტეტების განსაზღვრაში და მონიტორინგს გაუწევს ბიუჯეტის შესრულებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება რუსთავის ღია მმართველობის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგიის მიზანია, დაამკვიდროს ქალაქში ეფექტიანი მმართველობის პრინციპები, გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მონაწილეობითი დაგეგმარება და ბიუჯეტირება და გაზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ეფექტიანობა.

